გურგენიძემ საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 15%-მდე შემცირდებაო, თქვა და წავიდა

გაზეთი "ალია" – 28-29 ოქტომბერი, № 132, 2008

საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 15%-მდე შემცირდება. ამის შესახებ ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-სამიტზე გადადგომამდე განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ. გარდა ამისა, მისი თქმით, დაგეგმილია 3 წლის განმავლობაში დივიდენდებზე გადასახადის საერთოდ განულება.

"საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს. ეს ეხება როგორც ქართული ბრენდის გაძლიერებას, ასევე ორმაგი დანეგვრის თავიდან აცილებას", - აღნიშნა მან.

"ალიას" ესაუბრება ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობას ადრეც ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება და საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 15%-მდე უნდა შემცირებულიყო. ეს არის მთავრობის მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 4 წლის განმავლობაში. ახლა შესაძლებელია, ეს გადასახადი დაწიონ, მაგრამ აქ შეიძლება ჩადონ ერთი ასეთი ეშმაკობა, ანუ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები ისე შეამცირონ, რომ ხელზე ასაღები თანხა იგივე დარჩეს. ამის საფრთხე იმიტომ არსებობს, რომ ამაზე ადრეც საუბრობდნენ და ამ ინფორმაციას ვფლობ.

– ანუ შესაძლოა, მოსახლეობისთვის ისე გამოვიდეს, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვალოს?

– სულ ასე არ არის. ამ გადასახადებით იბეგრება არა მარტო საბიუჯეტო ორგანიზაციები, არამედ კერძო ბიზნესიც. ასე რომ, ეს შედავათები შესაბამისად აისახება კერძო სექტორზე. ასეთ მანიპულაციებს, რომელიც

დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადთან, მე ყოველთვის სკეპტიკურად ვუყურებდი. ამ გადასახადის გაზრდა იყო შეცდომა და ახლა, როცა ბოლომდე არ არის სურათი ნათელი, თუ როგორ მოხდება შემცირება, მით უმეტეს, რომ ქვეყანას ეყოლება ახალი პრემიერ-მინისტრი, იმის შეფასება, ეს დადებითია თუ უარყოფითი, გამიჭირდება. აქ შეიძლება კიდე ბევრი ნიუანსი გამოჩნდეს და მერე უფრო გაადვილდება შეფასების გაკეთება.

– ასევე, საუბარია დივიდენდის გადასახადის განულებაზე. ამას როგორ შეაფასებდით?

– ეს თავისთავად სულაც არ არის ცუდი, რადგანაც ეს სტიმულს მისცემს ხალხს წარმოებაში ფულის დასაბანდებლად, მაგრამ ეს შედავათს მისცემს მსხვილ და საშუალო ბიზნესებს, ხოლო მცირე ბიზნესისთვის ეს არავითარი შეღავათი არ იქნება.

დიმიტრი ტიკარაძე